ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

XX საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ეძღვნება პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძის დაბადებიდან 100 წლისთავს

XX Faculty Scientific Conference Dedicated to the 100th Anniversary of the Birth of Professor Zurab Chumburidze

პროგრამა / თეზისები

Program / Abstracts

ივნისი 29-30 June
თბილისი 2026 Tbilisi

რეგლამენტი:
მოხსენება სექციის სხდომაზე – 15 წუთი
დისკუსია – 5 წუთი
სამუშაო ენა – ქართული

Time Limit:
Presentation at the section meeting – 15 minutes
Participation in discussions – 5 minutes
Working language – Georgian

სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:

დარეჯან თვალთვაძე – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

რამაზ ქურდაძე – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი

მაია ლომია – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ს/ს ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი

ეკატერინე ნავროზაშვილი – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი

ნინო პოპიაშვილი – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი

ნათია ფუტკარაძე – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი

მაია გურაბანიძე – თსუ მუზეუმის დირექტორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

მანანა ლილუაშვილი – თსუ მუზეუმების საგანმანათლებლო პროგრამებისა და დროებითი გამოფენების კურატორი, ისტორიის დოქტორი

ნათია დვალი – თსუ გამომცემლობის დირექტორის მოადგილე

ნანა კაჭაბავა – თსუ გამომცემლობის წამყვანი სპეციალისტი

დალი კანდელაკი
Dali Kandelaki

საქართველოს ისტორიის ფრაგმენტები გერმანულ ჟურნალში "Einleitung zur neuesten Historie der Welt" (1723–1724)[1]

Fragments of Georgian History in the German Journal "Einleitung zur neuesten Historie der Welt" (1723–1724)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: XVIII საუკუნის გერმანული პერიოდიკა, საქართველო, კავკასია, "Einleitung zur neuesten Historie der Welt", პოლიტიკური ნარატივი

Keywords: eighteenth-century German periodicals, Georgia, Caucasus, "Einleitung zur neuesten Historie der Welt", political narrative

---

[1] კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი: GSDP-25-294] / This work was supported by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number GSDP-25-294].

XVIII საუკუნის გერმანულ პერიოდიკაში საქართველო წარმოჩნდება პოლიტიკურად და სიმბოლურად დატვირთული ნარატივის ფარგლებში, რომელიც სამხედრო მოვლენებს, დიპლომატიურ ცნობებს, გეოპოლიტიკურ ინტერესებსა და ისტორიულ-რელიგიურ წარმოდგენებს ერთიან სურათად აყალიბებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჟურნალ "Einleitung zur neuesten Historie der Welt"-ის 1723-1724 წლების ნომრები, სადაც საქართველოს თემა სხვადასხვა კონტექსტში ვითარდება.

1723 წლის პუბლიკაციებში საქართველო ოსმალეთის ექსპანსიის ერთ-ერთ მთავარ სამიზნედ არის წარმოდგენილი, თუმცა ცნობებში შიდა წინააღმდეგობაც შეინიშნება. ერთი მხრივ, საუბარია მოსახლეობის „ნებაყოფლობით მორჩილებასა" და „პროვინციის" მშვიდობიან ინტეგრაციაზე, მეორე მხრივ კი – თბილისის დაკავებაზე მოტყუებისა და ძალადობის გზით. ურთიერთგამომრიცხავი ცნობები აჩვენებს, რომ გერმანული პრესა საქართველოს არასტაბილურ და ცვალებად გარემოდ აღიქვამს, სადაც პოლიტიკური ინტერესები და ინფორმაციის გადმოცემის ხერხები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ამავე კონტექსტში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქართლელი დიდგვაროვნების დახასიათება; ქართლის მთავრის გაქცევა, მისი ვაჟის სარწმუნოების შეცვლა და ხარკის დაკისრება ცხადყოფს, რომ საქართველო მხოლოდ პასიური ობიექტი არ არის იმპერიულ დაპირისპირებებში. იგი წარმოჩნდება გარემოდ, სადაც ადგილობრივი ძალები იძულებულნი არიან სტრატეგიული არჩევანი გააკეთონ ოსმალეთის, სპარსეთისა და რუსეთის ინტერესებს შორის, რაც ქვეყანას აქტიურ პოლიტიკურ არენად აქცევს.

1724 წლის ნომრებში საქართველო ფართო კავკასიურ და ახლოაღმოსავლურ გეოპოლიტიკურ კონტექსტში გადადის. იგი უკავშირდება ისპაჰანის დაცემას, სპარსეთის სამხედრო კრიზისსა და კასპიის რეგიონში ძალთა გადაადგილებას. რუსეთის ფაქტორის ჩართვა კიდევ უფრო აძლიერებს საქართველოს მნიშვნელობას იმპერიათა შორის ძალთა ბალანსში, მიუხედავად იმისა, რომ მისი როლი ხშირად ირიბად და მინიშნებით არის წარმოდგენილი. ასევე, საქართველო განიხილება როგორც გეოგრაფიულად განსაზღვრული და ბიბლიურ ტრადიციებთან დაკავშირებული ქვეყანა. ამგვარად, მისი აღწერა აღარ შემოიფარგლება სამხედრო და გეოპოლიტიკური საკითხებით და ისტორიულ-რელიგიურ მნიშვნელობასაც იძენს.

ჟურნალის 1723-1724 წლების პუბლიკაციები ცხადყოფს, რომ გერმანულ პრესაში საქართველო დახასიათებულია მიმდინარე მოვლენების აქტიურ მონაწილედ, რომლის შესახებ წარმოდგენა ცნობებისა და მათი ინტერპრეტაციების ერთობლიობით ყალიბდება.

In eighteenth-century German periodicals, Georgia emerges within a politically and symbolically charged narrative that integrates military events, diplomatic reports, geopolitical interests, and historical-religious conceptions into a coherent whole. From this perspective, particular significance attaches to the 1723-1724 issues of the journal "Einleitung zur neuesten Historie der Welt", in which the theme of Georgia unfolds across various contexts.

In the publications of 1723, Georgia is presented as one of the principal targets of Ottoman expansion; however, internal contradictions are evident within the reports. On the one hand, reference is made to the population's "voluntary submission" and the peaceful integration of the "province"; on the other, to the capture of Tbilisi through deception and violence. These mutually contradictory accounts indicate that the German press perceived Georgia as an unstable and shifting environment in which political interests and modes of conveying information are closely intertwined. Within this context, particular attention is drawn to the portrayal of the Kartlian nobility. The flight of the ruler of Kartli, the conversion of his son, and the imposition of tribute demonstrate that Georgia was not merely a passive object in imperial rivalries. Rather, it appears as a setting in which local actors were compelled to make strategic choices among the interests of the Ottoman Empire, Persia, and Russia, thereby turning the country into an active arena of political contestation.

In the issues of 1724, Georgia is placed within a broader Caucasian and Near Eastern geopolitical context. It is associated with the fall of Isfahan, the military crisis of Persia, and the shifts in power within the Caspian region. The inclusion of the Russian factor further reinforces Georgia's significance within the balance of power among empires, even though its role is often conveyed indirectly and by implication. At the same time, Georgia is considered as a geographically defined country connected with biblical traditions. Thus, its depiction is no longer confined to military and geopolitical matters but acquires historical and religious significance as well.

The journal's publications of 1723-1724 demonstrate that, in the German press, Georgia is characterized as an active participant in ongoing events, whose portrayal is shaped by the interplay of reports and their interpretations.